სახალხო გაზეთი

№ 1063 კვირა, 8 დეკემბერი 1913 წ. № 1063

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთას თვეით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **75 კაპ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

კვირას, 8 დეკემბერს,

სოლომონ გიორგის ძის გაბაშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს პეტრე-პავლეს ეკლესიაში 12 საათზე პანაშვიდია დანიშნული. 862.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37.

კვირას, 8 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

მეფე ლირი

ტრაღედია 5 მოქმ. და 10 სურათად შექსპირისა, თარგმ. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, პიერეტა, ქიქოძე, ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, ხონელი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვლ. შალიკაშვილი.**

მზადდება წარმოსადგ.: სინათლე, დამარცხებული რომი, მარიამ სტუარტი, ჰამლეტი და სხ. შემდეგი **ბენეფისი მ. მდივანისა.** 12 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება **„ახალი მოძღვრება“.** ადმ. ქართ. დრამ. საზ. 1617

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30—8.

სამშაბათს, 10 დეკემ., 1913 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **პირველად ქართულ სცენაზე:**

დამარცხებული რომი,

ტრაგედია 5 მოქმ. ალ. პაროდისა, თარგმ. ვალ. შალიკაშვილისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი და დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი გ. ნადებოვის მიერ.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი: თოიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, მდივანი, სინაურიძე, ქიქოძე, კოდალაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, ხონელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **გ. შალიკაშვილი.**

მზადდება წარმოსადგენად: ახალი მოძღვრება, მარიამ სტუარტ, ჰამლეტი, სინათლე. 12 დეკემ., **ბენეფისი მ. მდივანისა,** წარმ. იქნება: **ახალი მოძღვრება.** ✦ ადმ. ქ. დ. საზ.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ქმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე **დღეს, 8 დეკემბერს, 1913 წ.**

2 დიდი საინტერესო წარმოდგენა

დღისით დაიწყება 2 საათზე, ფასი 5 კაპ.

მე-9 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს ჭიდაობენ ვახტუროვი და სეპნიკი, ელიზაროვი და ჯაკსონი, საბატიე და სედიხი. 858 დირექცია **ქმ. ესიკოვსკებისა.**

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი

ორშაბათს, 9 დეკემბერს,

სიმფონიური კონცერტი ალექსანდრე ბოროვსკის

მონაწილეობით. სხვათა შორის აღსრულებული იქნება: 2 კონცერტი (როიალზე) **რახმანინოვისა** და კონცერტი (როიალზე) **ჩაიკოვსკისა** ორკესტრის აკომპანიმენტით.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ადგილების ფასები. პარტერში 3 მ.—70 კაპ. გალერეიაში 50 კაპ. 25 კაპ. 1586.

---

8 დეკემბერს დილის 12 საათზე 1913 წ. დანიშნულია

საზოგადო კრება

ქართ. ქალთა ამხ. ჭრაკერვის სკოლის ამხანაგობისა.

განსახილველია: 1) ანგარიში 1912 წლ. ენკენისთვიდან 1913 ენკენისთვემდე. 2) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის სამოსწავლო წლისა. 3) მოხსენება გამგეობის წესდების პირველი მუხლის შეცვლის გამო. 4) მოხსენება სკოლისათვის საკუთარ სახლის შესაძენად და 5) არჩევნები ორის გამგეობის წევრისა და მდივნისა. გაბაანთ ქუჩა № 3. 854.

სახაზინო თეატრი

9 დეკემბერს, 1913 წ. საოპერო საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

ქართულ სათავად-აზნაურო საქალებო სკოლის

სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნება

პიკოვაია დამა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1619

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და აგრეთვე მასალები ალმანახში მოსათავსებლად მიიღება საზოგადოების მდივნის **ნინო რცხილაძის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 9),** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. 1597

საგანგებო საზოგადო კრება

„ახალი კლუბის“ წევრთა

დანიშნულია კვირას, 8 დეკემბ., დღის 12 ს., „ახალ კლუბის“ დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) მოხსენება კლუბის შენობის გაუმჯობესების შესახებ.

1) არჩევნები წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა და სხვა მიმდინარე საქმეები. 1568

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსნეიევის ქუჩა, ხ... ..სახლი, № 7, მ... ...ლის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ...

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და ... თოთახები განსაკუთრებ... სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ... ყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმ[ებ]ი-სპეციალისტები:**

[შინაგანი] სნეულებანი.	**...ანსმეტაშვილი მ. მ.** ორშაბ. ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **...ალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე [illegible]—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მორბიცკი-ფირა[illegible]ისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე [illegible] **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი ე. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი ვ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის 1. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1546

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) **განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფობა ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ხეხილების გასხვლა

ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასასხვლელად. ცნობებისა მისაღებად მიმართვა შეიძლება წერილობით: ტფილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

Тифлисъ, питомники С. С. Хетагури. 1560

გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.

განახვალდე

ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. ფასი 25 კაპ.

საგურამოზე

მშვენიერ ადგილას

ახ... აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იგანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეგვატყობინონ დარჩენილი გზა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2. ს.

გ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით 1462

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელაინე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვოროზოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 ! 4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამქაროვი. ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის ავადმყ.;** **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **მღვდელი ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ქ. გორში

ექიმი (დოკტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემინონოვის** ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი **ქალბატონი ნინო რცხილაძე**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს 9 დეკემბრიდან
დანიშნულია ბედნიერ დღეების წინასწარი
იაფი ვაჭრობა
შალეულისა, მაუდეულისა, აბრეშუმეულისა, ბამბეულთა და სხვა სამანუფაქტურო საქონლისა.
ნარჩენები სხვა და სხვა ნაირ საქონლისა ღირებულ ფასზე 30—40%-ის დაკლებით.
კუპონები სადღესასწაულო საჩუქრებისათვის.
სავაჭრო სახლი
„ძმანი გრიგორიანები და ამხ."
მიხეილისა და კიროჩნი ქუჩების კუთხეში, სახლი მაიერისა, ტელეფ. № 9—14.
1630.

გამგეობა
ტფილისის ვაჭართა ბანკისა
ამით აცნობებს ბანკის აქციონერებს,
რომ ბანკის წესდების მე-5 §-ის თანახმად, ბანკის აქციების პირვანდელ ღირებულების 50% დარჩენილი შესატანი თითო აქციაზე 125 მანეთი, თითო აქციის დასამზადებელ და სხვა ხარჯად 1 მან. 25 კაპ. დამატებით,
სულ 126 მ. 25 კ. თითო აქციაზე
უნდა წარმოადგინონ მიმდინარე დეკემბრის 10-დან ამავე თვის 16-დე.
შესატან ფულს ბანკში მიიღებენ (სერგიევის ქუჩა № 8),
დილის 9½ საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, კვირა-უქმის გარდა, ამასთანავე სავალდებულოა პირადი მოწმობების წარდგენა, ფულის შემოტანის შესახებ შესაფერ შენიშვნის წარსაწერად. დროებით მოწმობების ბანკის აქციებზე შეცვლის შესახებ ცალკე გამოცხადდება.
ბანკის წესდებიდან ამონაწერი:
§ 8. ვინც მოწმობის კუთვნილ რომელიმე გარდასახადს ბანკის გამგეობის განცხადების მიერ დანიშნულ ვადაზე არ წარმოადგენს, მას ბანკის სასარგებლოდ გადაჰხდება ყოველ გადაცილებულ დღეში 5 პროცენტი წლიური ჯარიმის ვარაუდით. აღნიშნულ ვადაზე უწყებულ გადასახადი მოუხდელი მოწმობების ნომრები გამოცხადდება „მთავრობისა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებებში".
უკეთუ ამ განცხადების დაბეჭდვიდან ორი კვირის შემდეგ სათანადო ფულს არ შემოიტანენ, ბანკის გამგეობა ვალდებულია, აღნიშნული მოწმობები ბირჟაზე გაყიდოს, დლალების შუამავლობით. ამას გარდა ვადა-გადაცილებული მოწმობები ბათილდება და მათს ახალ შემძენს იმავე ნომრის ახალი მოწმობა მიეცემათ, ზედ-წარწერით, რომ ეს მოწმობა სხვაზეა გადასული, და ვადაზე შესატანი უწყებული ფულიც გადახდილია. ასეთ მოწმობების გაყიდვიდან აღებული ფული, ხარჯი და აგრეთვე ჯარიმა გადაიდება ბანკში შესატან თანხის შესავსებად, დანარჩენი კი მოწმობის პატრონს დაუბრუნდება.
625

ტფილისი, 8 დეკემბერი

ერთი საკითხის გამო.

ამა თუ იმ საკითხის გამორკვევის დროს დიდი მნიშვნელობა ეძლევა გარემოებას, თუ როგორ უცქერის მკვლევარი თვით საკითხს: მტრულად თუ მეგობრულად. თუ მკვლევარი მტრულად არის განწყობილი, მაშინ მთელი მისი გულისყური იქითკენ არის მიმართული, რომ საკითხის დასამარხად რაც შეიძლება მეტი „საბუთი" გამოსძებნოს. სიტყვას საბუთს ბრჭყალებში იმიტომა ვსვამთ, რომ იგი საბუთი ყოველთვის ტენდენციური და ობიექტიურ სინამდვილეს მოკლებული გამოდის ხოლმე. პირ-იქით, თუ მკვლევარი მეგობრულად არის განწყობილი, მაშინ საკითხი სულ სხვანაირ სახეს იღებს. ამისთანა მკვლევარის წინ დაბრკოლებანიც რომ აღიმართოს, იგი ცდილობს არა ამ დაბრკოლებათა **გადაფუჩეჩებას**, არამედ **ძლევას**. მეორე მდგომარეობა უფრო ძნელია, მაგრამ ამასთანავე ერთად საპატიოც. მეორე შემთხვევაში ჩვენა ვხედავთ გულ-წრფელ სურვილს საკითხის **გამორკვევისას**, პირველ შეათხვევაში კი მხოლოდ ტენდენციურ სურვილს საკითხის დასამარხებისას. ერთი ამნაირი საკითხთაგანია მთლიანობა საქართველოს ტერიტორიისა და ყველაფერი ის, რაც ლოღიკურად ამ მთლიანობისაგან გამომდინარეობს. ჩვენ ვიცნობთ ორი კატეგორიის ხალხს, რომლებიც პოლიტიკურ აზროვნების პოლიუსებზე სდგანან, მაგრამ რაღაც წარმოუდგენელ მიზეზებისა გამო მაინც ერთნაირად არიან **დაინტერესებულნი** იმით, რომ **წარმოდგენა** საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობისა დაარღვიონ. პირველები რუსის ნაციონალისტები, რუსეთის ბიუროკრატია არიან, მეორენი—ჩვენი დასელები ნარიძის მეთაურობით. არის კიდევ მესამე ელემენტი, რომელიც ამითვეა დაინტერესებული—სომხების ბურჟუაზია—მაგრამ მის შესახებ ამ ჟამად არაფერს ვიტყვით.

აღარ არსებობსო საქართველოს ტერიტორია, ამბობს ერთი ჯურის ხალხი; რასაკვირველია, აღარ არსებობსო, ბანს აძლევენ ჩვენი დასელები. ქართლი და კახეთი აღიგავა ქართულ ისტორიულ ჰორიზონტიდან, რასაკვირველია, აღიგავაო, უმაღლეს! იტკბოებითა და კმაყოფილებით აძლევს ბანს ნარიძე. რის იმედი გაქვთ, რა გალაპარაკებთ? იძახის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბიუროკრატია.—არაფრისა, უპასუხებს ნარიძე,—ჩვენ გავქრით, მოვისპეთ, ცოტა კიდევ მოითმინეთ და მალე სულ გავპროლეტარდებით, ქუთაისის გუბერნია-ღა დაგვრჩა და იმასაც, ღვთისა და თქვენი დახმარებით მალე გავანიავებთ; მალე ჩვენ ქვეყანას დაეპატრონებიან ბერძნები, სომხები, ურიები, გერმანელები, ინგლისელები, ხუნხუზები, ესკიმოსები და განხორციელდება სანეტარო იდეალი რუსეთის ბიუროკრატიისა და ს.-დ. საერთაშორისო სოციალიზმისა.

ზემოდ მოყვანილი მსჯელობა ლოღიკური დასკვნაა იმ პოზიციისა, რომელიც დაიჭირა ნარიძემ საქართველოს ტერიტორიის შესახებ. როდესაც ადამიანი მტრულად არის განწყობილი საქართველოსადმი, რასაკვირველია, კიდეც ცდილობს ისეთი სურათი დახატოს, რომ საქართველო მოსპობილად მოეჩვენოს ყველას. ტეზისი—პურიშკევიჩი და მისი ანტიტეზისი—ნარიძე შეერთდა უმაღლეს სინტეზში—საქართველოს უარ-ყოფაში. ესეც თქვენი მარქს-ენგელსის დიალექტიკა!

სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ის საკითხი, რომელიც ქუთათურმა გაზეთმა „სიტყვამ" აღძრა. ეროვნული საკითხი გამოურკვეველი აქვთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რადგანაც არ იციან სივრცე ტერიტორიისა, არ იციან, როგორ უნდა იქმნას უზრუნველყოფილი უმცირესობათა უფლებანი. ასეთი კითხვების დაყენება პოლემიკურ ჟინიანობის შედეგი რომ არ იყოს, ძალიან სასარგებლო იქნებოდა, და ჩვენც არ გაგვიჭირდებოდა პასუხის გაცემა, რადგანაც ერთიც და მეორეც დიდი ხანია გამორკვეულია. საშუალებანი უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფისა მეოცე საუკუნეში ყველამ იცის. შეიძლება არ იცოდნენ მხოლოდ გოტენტოტებმა და ხუნხუზებმა, რომლებიც ჯერ ისევ ცივილიზაციის პირველ საფეხურზე სდგანან და პოლიტიკურ ანბანის პირველ ასოებსა სწავლობენ.

როდესაც ასეთის, წინასწარ მტრულად განწყობილ სურვილითა სვამენ საკითხებს, მაშინ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ კამათი რაიმე ნაყოფს გამოიღებს და სასურველ დასკვნამდე მიგვიყვანს.

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსყიდვის გამო.

მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ წერილზე „საზოგადოების საყურადღებოდ". წერილი პრაქტიკულად აყენებს სახლის გამოსყიდვის საქმეს და მოუწოდებს საზოგადოებას, მხურვალე თანაგრძნობა გამოიჩინოს დიდებული ადამიანის ხსოვნისადმი და ხელახლა ააგოს შეუგნებლობით და დაუდევრობით დანგრეული ტაძარი. ჩვენ სულით და გულით ვუერთდებით ამ მოწოდებას და გვწამს, რომ რაც უნდა დაუძლურებული და დაკნინებული იყოს დღევანდელი საზოგადოება, იმდენს ცხოველმყოფელობას და გულშემატკივრობას მაინც გამოიჩენს, რომ მოკლე დროში გამოიღებს საკმაო ფულს და დაიხსნის ილია ჭავჭავაძის სახლს საიჯარო გაყიდვისაგან. ეს მცირე რამაა, ეს ადვილად შეგვიძლიან ჩვენ, საჭიროა მხოლოდ შეგნება ამისა და ცოტაოდენი ამოძრავება და მოქმედება. განსვენებულმა პოეტმა და მოღვაწემ ბევრი რამ ძვირფასი მიუძღვნა თავის ერს და ნუ თუ ერი ერთს უბრალო სახლს არ მიუძღვნის მას?

ქართული პრესა

ამ სამი დღის წინად დასელები გვისაყვედურებდნენ, პროგრამა არეული გაქვთ, არ იცით, რა ტერიტორიას იცავთ, რა უფლებრივ წესწყობილებას ამყარებთ თქვენი მომავალი ავტონომიის საზღვრებშიო. ამ საყვედურების დროს ჩვენს მოწინააღმდეგეებს დავიწყებოდათ, რომ არევ-დარევა თუ არის, ეს მათ ბანაკშია, რომელიც კაი ხანია ერთს მთლიანს სხეულს არ წარმოადგენს. როგორც ყველას მოეხსენება, ჩვენმა დასელებმა დიდის წვალებისა და წამების შემდეგ საჭიროდ დაინახეს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნა. მძლავრად დაეტაკა მათ განყენებულ დოგმატიკოსობას ეროვნული გათვითცნობიერების ტალღა და იძულებული გახდნენ, ანგარიში გაეწიათ მისთვის და თუმცა მათებური უსულგულო ავტონომია სრულებით ვერ სწყვეტს ჩვენს ეროვნულს საკითხს, მაგრამ საგულისხმიერო და დამახასიათებელი იყო, რომ ცოტათი მაინც შეიგნეს საჭიროება ეროვნული საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისა.

ჩვენი დასელები რუსეთის ამხანაგების ქვეშევრდომნი არიან და მათი ოდნავი მიდრეკილება ეროვნული მხრისკენ, თურმე, ძალზე არ მოსწონებიათ რუს ბატონებს. როგორც გაზეთ „სიტყვის" თანამშრომელი ნ. სქარელი აღიარებს, ეროვნულ კულტურულმა ავტონომიამ პირდაპირ შეუფერებელი განგაში გამოიწვია ზოგიერთ მარქსისტულ წრეებში, განსაკუთრებით რუსეთში.

„ნაციონალური კითხვის ამნაირად გადაჭრის აღიარებას თვლიან დემოკრატიის და სოციალური იდეალების დამარხვად და ნაციონალიზმის დროშის აფრიალებად. საკმარისი იყო აქაურ ჯგუფს ამ ერთი წლის წინად დაესვა ეს კითხვა მთელი რუსეთის თანამოაზრეთა წინაშე, რომ ეფეთქა მრავალი პირის და წრის გულისწყრომას ამ ახალი „ანტიპროლეტარული" წინადადების წინააღმდეგ და მის გასაბათილებლად ამხედრებულიყვნენ. სწორედ მაშინ წარმოითქვა, სამწუხაროდ, თვით გ. პლ—ის მიერ, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მიღება ნიშნავს „სოციალიზმის შეგუებას ნაციონალიზმთან", რაც შემდეგ ენაზე დაიკერა ბრალიანმა და უბრალომ. წარმოიდგინეთ, სათათბიროს ფრაქციის განხეთქილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმავე ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის წამოყენებას ასახელებენ. ფრაქციის უმრავლესობამ მოითხოვა სათათბიროში ისეთი „დაწესებულებანი, რომლებიც აუცილებელია თვითეული ნაციის თავისუფალი განვითარებისთვის", ხოლო ეს დარღვევაა ძველი, ყველასაგან მიღებული პროგრამისა და სხ.

ამ ნაირად, ეროვნულ-კულტური ავტონომიის წინააღმდეგ ილაშქრებენ პროლეტარული იდეოლოგიის სახელით და ამტკიცებენ, რომ ეს ღალატია ძველი ინტერნაციონალური პრინციპების და მომწყვდევაა ნაციონალიზმის და ლიკვიდატორობის ჩარჩოებში, რომლებიც ბურჟუაზიის სულის კვეთებას უფრო შეეფერება, ვინემ გათვითცნობიერებული მუშა ხალხის პარტიის ინტერესებსო".

შემდეგ ნ. სქარელი უმტკიცებს ამხანაგებს, რომ ეროვნულ-კულტურული ავტონომია ჩვენი გამოგონილი არაა და, თუ იგი არადემოკრატიულია, ამის შესახებ საყვედური უნდა უთხრათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც დიდიხანია აღიარა ეროვნულ-კულტურული ავტონომია ეროვნული საკითხის ერთ-ერთ გადასაწყვეტ საშუალებადო.

ასეთს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ დასელები მხოლოდ იმის გამო, რომ ეროვნულ-კულტურული ავტონომია მოისურვეს. რაღა მოუვათ მაშინ, როცა ცხოვრების ტალღა კიდევ უფრო გაბედულად და სასტიკად დაეჯახება მათ და აიძულებს სრულს, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის მოთხოვნას? ჭეშმარიტად სახიფათოა ყოველნაირი მონობა, ყველაზე უწინარეს სულიერი მონობა!

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთს „ზაკავ. რეჩს" მოჰყავს „კავკაზის" გუშინწინდელ ნუმერში დაბეჭდილი აზრი, რომ ნავთლუღს არავითარი არსებითი ნაკლულევანება არა აქვს საპოლიტეხნიკუმო შენობისათვის, და უპირდაპირებს ამას იმავე გაზეთში მარტში დაბეჭდილ წერილს, სადაც ავტორი, გაზეთის რედაქტორი ამტკიცებდა ნავთლუღის სრულს უვარგისობის და საბურთალოს შესახებ კი ამბობდა:

„ტფილისში შეუძლებელია ამაზე უკეთესის ადგილის გამონახვა და ყოველმა ადამიანმა, ვინც გულწრფელად თანაუგრძნობს უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას კავკასიაში, მადლობა უნდა უთხრას თავად-აზნაურობის უხვი შემოწირულობისათვისო".

ასე ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო. რა ჰქმნის რედაქტორმა მოხელემ. მარტში საკუთარი აზრი ჰქონდა, დეკემბერში—სხვისა; მაშინ თვითონ ბრძანა, ეხლა სხვებმა უბრძანეს.

⁂

ხაჩატუროვის „ტფილ. ფურცელი", როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ კმაყოფილია ოფიციოზში დაბეჭდილი განმარტებით პოლიტეხნიკუმის ადგილის შესახებ და სხვებსაც ურჩევს კმაყოფილებას. ასეთია მაძღარი კაცის ფსიხოლოგია: თუ პური არა გაქვთ, ხაჭაპურები მიართვით, ოღონდ მშივრები ნუ ხართო! გაზეთი იმდენს თავხედობას არ იჩენს, რომ აღიაროს ნავთლუღის უპირატესობა, მხოლოდ სწერს: ადგილი რომ სხვაგან არჩეულიყო, პოლიტეხნიკუმის ბედს განსაცდელი მოელოდაო. ახლა რაც მოხდა, მოხდაო, შევურიგდეთ და ფულები შევაგროვოთო. ფული კი ბევრია საჭირო, რადგან კავკასიას მარტო პოლიტეხნიკუმი ხომ არ ეყოფა, უნივერსიტეტიც უნდაო.

ლაპარაკი არ უნდა, ეს უნივერსიტეტი ალბად ის ხაჭაპურია (ან პიროჟნი), რომელიც ქართველებმა უნდა მიირთვან ოცნებით, ოცნებით, სანამ,.. ეს ოცნება მარცხად არ განამდვილდება და მაშინ ქართველებს სხვა საოცნებო ხაჭაპურებზე მიუთითებენ, რასაკვირველია!

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის მოურავის მოადგილე** თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ბაქოს გაემგზავრა.

✦ ქალაქის გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** უკვე მორჩა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ეკლესიის კურთხევა.** 7 დეკემბერს საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ ეპისკოპოსების პიმენისა და ანტონის თანამწირველობით სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში აკურთხა ახლახან შეკეთებული და გამშვენიერებული ეკლესია.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** კრება 5 დეკემბერს მოხდა იმ ახალგაზრდათა შესამოწმებლად, რომელნიც წელს სამხედრო სამსახურში იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადნენ. საკრებულომ ექვსი კაცი ჯანსაღად იცნო და სამსახურში ჩარიცხა. მისაღებია კიდევ 68 კაცი.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** ამ სამის დღის წინად ქალაქის მესამე უბანში სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეებმა ა. ხარაზიანმა და ე. ლომიძემ საღამოს 7-დან 11 საათამდე მოულოდნელად დაათვალიერეს რესტორანები, ბუფეტები და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. ბევრგან აღმოჩენილ იქმნა სასანიტარო წესების დარღვევა. შედგენილ იქმნა ოქმები დამნაშავეთა მისაცემად სამართალში.

✦ ტფ. პოლიცმეისტერს ყურადღება მიუქცევია, რომ ქალაქში **ქურდობათა რიცხვი დაკლების** მაგივრად თანდათან მატულობს, მომეტებულ ნაწილად ქურდები სახლების კარებს შერჩეულის გასაღებით აღებენ. ამის გამო პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციელებმა განსაკუთრებული ღონისძიებანი მიიღონ ქურდობათა რიცხვის შესამცირებლად.

✦ **უკვალოდ დაიკარგა** იოსებ გაბრიელის ძე პოლოსოვი, ვასილი გალუნკინი, ეგნატე სემენენკო, ფილიპე მიტოგუხი და მეჩისლავ რუტკოვსკი.

✦ **სამართალში აძლევენ:** ტფ. მოქალაქეს არამ ასლამაზოვს, საჩაიეს მეპატრონეს არმენაკ მირიანცს და ყაზახ-რუსს ლეონტი შარანიკინს, რომელთაც პოლიციელებს ქრთამი შეაძლიეს.

✦ **მეტრაქტირეები** ქალაქის გამგეობას უჩივიან, დიდი გადასახადი დაგვადვაო. საჩივარს ორშაბათს, 9 დეკემბერს, ქალაქის საბჭო განიხილავს.

✦ **დაჯარიმოს თუ არა ტრამვაის დირექცია გაფიცვის დღეებისთვის**, ეს საკითხი ქალაქის თვითმართველობას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია. ახლა ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს 9 დეკემბრის კრებას, რათა ეს საკითხი გამოსარკვევად ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას გადაეცეს.

✦ დღეს გამოვიდა ჟურნალი **სუსხი"-ს** მე-2 ნომერი, შემდეგის შინაარსით: ალექსანდრე ყაზბეგი, საჭირ-ბოროტო კითხვები, პ. ახალკაცისა, ლექსი—ს. გოთოშიასი, ივანიკას დარდი—კრონოსი, კითხვა-პასუხი—ცრემლისა, მესტვირული ლექსი—ხოზიკასი, ქალებო ნუ გასთხოვდებით—??!-სა, ჩვენებური ამბები—გეურქა და ოსეფა, ონოფრე თავფქვილიძე, გამოცანა ლექსი—ვანიჩკასი, მძიმე ტვირთი, აფორიზმები.

✦ დღეს, ტფილისის **სასულიერო სემინარიის ახალ შენობაში** ეგზარხოსი ალექსი, ეპისკოპოს პიმენისა და ანტონის თანამწირველობით, აკურთხებს ახალ ეკლესიას.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს, 8 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება შექსპირის ცნობილი ტრაგედია **„მეფე ლირი"**. მეფე ლირის როლს შეასრულებს ვ. გუნია.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართველ ქალთა ამხ. ჭრაკერვის სკოლის** ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია დღეისთვის, შუადღის 12 საათზე, სკოლის შენობაში (გაბაანთ ქუჩა, 3). განსახილველია: 1) ანგარიში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის სექტემბრამდე, 2) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სამოსწავლო წლისა, 3) გამგეობის მოხსენება წესდების პირველ მუხლის შეცვლის შესახებ, 4) მოხსენება სკოლისათვის საკუთარ შენობის შეძენის შესახებ და 5) არჩევნები გამგეობის ორის წევრისა.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 9 დეკემბრისათვის. კრება, სხვათა შორის, აირჩევს გამგეობის წევრს ნაცვლად მ. ნ. ათაბეგოვისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, და შემდეგ ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგება.

✦ **საკოოპერაციო კრება.** 6 დეკემბერს მოხდა კავკასიისა, ქართულ და სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წევრების საზოგადო კრება მომავალ საკოოპერაციო კრების თაობაზე მოსალაპარაკებლად. კრებამ განიხილა საკითხი: რა დარგის საკოოპერაციო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება მოიწვიოს. საკითხი ამ კრებაზე გადაუწყვეტი დარჩა და გადაიდო 10 დეკემბრისთვის. ამავ კრებაზე გათვალისწინებულ იქმნა კრებების დაახლოვებითი პროგრამა.

ქუთაისი.

✦ გუშინ ქუთაისში ჩამოვიდა პოეტი აკაკი წერეთელი.

✦ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ს. გაგუა სკოლების მეთვალყურედ კი არ დაუნიშნავთ, არამედ დროებით ასრულებს გროზდოვის მოვალეობას.

✦ ხუთ დეკემბერს ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკში მოხდა დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ათამდე სხვა და სხვა მამულები.

✦ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა **სატუსაღოდან გაანთავისუფლა ჯარიმის** გადაუხდელობის გამო ადმინისტრატიულის წესით დაპატიმრებულნი. მათ შორის გაანთავისუფლეს გაზეთ „თანამედროვე ქვეყნის" რედაქტორი კ. ჯანელიძე და გაზეთ „იმერეთის" რედაქტორი ქელიძე.

✦ ამას წინად დარისპან გაჩეჩილაძის საქაჯეში სხვებთან ერთად ჯარის კაცი გაიგუდა. ეს ჯარის კაცი ხელზე მოსამსახურედ იყო გორის პოლკის აფიცერთან. აფიცერზე ძლიერ იმოქმედა ჯარის კაცის ტრაღიკულმა სიკვდილმა და ჭკუაზე შესცდა. გუშინ წინ საღამოს მატარებლით ის ტფილისს წაიყვანეს საექიმოდ.

✦ კავკასიის სამხედრო სასამართლო 13 დეკემბრამდის დაასრულებს სამხედრო სამართალში მიცემულ პირთა საქმეების გარჩევას და ტფილისს გაემგზავრება.

✦ სამხედრო სასამართლომ გარჩია ცინცაძისა (იგივე სამანიშვილის) ბ. კუპრავიშვილის, ვ. წივწივაძისა და ი. ბუაძის საქმე. ცინცაძეს 12 წლის კატორღა გადაუწყვიტა სასამართლომ, დანარჩენი სამი კი გაამართლა.

იყო ქალაქი ბაზარი—გაღმა მხრის ვაჭრობა აღებ-მიცემობის ცენტრი. დღეს ამ დიდებულს ქალაქიდგან უშველებელს ტიალს მინდორზედ ეულად ფლუდ განმარტოებული დარჩენილა მარტოდ ეს ყველასაგან მივიწყებული ირგვლივ ტაძარი. სამარებრივი სიჩუმეა გამეფებული და მხოლოდ ეს ტაძარი და აქა იქ დიდს მანძილზედ მოფენილი ნანგრევები დიდებულთა სასახლეებისა და მათივე საფლავებისა და გვეუბნება, რომ ძველად აქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, აქაც ძალუმად სცემდა ქართველთა მაჯა და მის ბედისთვის ჯერ კიდევ ყვავს საბედისწეროდ არ ჩამოეჩხავლა, გალმამხარი სცოცხლობდა და ჰყვაობდა.

თვით ტაძარი ჯვარედინის გეგმაზედ არის აშენებული, საუცხოვოდ გამომწვარ სქელის ძველებურის აგურისაგან. სიგრძე ეკლესიისა 24 არშინია, ხოლო სიგანე ოცი არშინი. ტრაპეზი ეკლესიისა კარგა მოზრდილია, აღმოსავლეთის მხრიდან მორგვალებულია, შიგა აქვს ერთი გრძელი და ვიწრო სარკმელი, როგორც სჩვევიათ საზოგადოთ ძველს ქართულს ეკლესიებს, და აქეთ იქით კიდევ ტრაპეზს პატარა თაროები, მარცხნივ და მარჯვნივ. სამკვეთროსა და სალაროს ტრაპეზიდგან შესავალი არა აქვთ, არამედ მხოლოდ პირდაპირ ეკლესიიდგან. სამკვეთრო და სალარო ორნივ პატარა ზომისაა თანატოლი და თითო პატარა მოგრძო სარკმელი აქვთ. ეკლესიაში შიგნიდან გალესილია მხოლოდ ტრაპეზი, დანარჩენი ეკლესია კი სრულიად გაულესავია. ტრაპეზის კედლებზე შენახულია მხატვრობა, რომელიც ძალზე გაფუჭებულია მუსულმან მწყემსთაგან, რომელნიც ცუდს ამინდებში საქონელს შერეკავენ ხოლმე. მხატვრობა ადგილ-ადგილ წაშლილია. თვალები ხანჯლის წვერებით გამოჩიჩქნილი, მაგრამ ზოგიერთი მხატვრობა მაინც კარგად ეტყობა, მაგალითად: მირქმა ქრისტესი, მიძინება ღვთის მშობლისა და სხვა. მხატვრობებზე წარწერებია ქარაგმით სლავიანურად, რაიც უტყუარი მოწმეა იმისი, რომ მხატვრობა რუს მხატვრების ნაწარმოებია, რომელთაც რუსეთის მეფენი უხვად გზავნიდნენ ქართველთა მეფეებისა და დიდებულთა თხოვნით. ამ მხატვართა დაიწყეს საქართველოში მოსვლა არა უადრევეს XVI საუკუნის დასაწყისისა, რაიც უტყუარი საბუთია იმისი, რომ თვით მხატვრობა ამაზედ უადრევეს ხანას არ უნდა ეკუთვნოდეს.[1]) ყოფილი მისიონერი საინგილოსი ტარ. ივანიცკი თავისს მცირე შენიშვნაში ამ ეკლესიის შესახებ ამბობს, რომ მხატვრობებზე ბერძნულ წარწერებიც ვნახეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ ამოვიკითხეთ [2]) მრავალგზის დაწვრილებით დავათვალიერეთ ყოველი წარწერანი მხატვრობებზე, მაგრამ ვერსად ვერა ვპოვეთ ბერძნული წარწერანი. იმ დროს, როცა ეკლესია არის აშენებული ბერძნებს არავითარი გავლენა არა ჰქონდათ საქართველოში და მხატვრობა და ხუროთმოძღვრობა თვით საბერძნეთშიაც დაცემული იყო იმ ჟამად. ქართული წარწერანი კი მთელს ტაძარში არსად არ მოიძებნება სამწუხაროდ. შესაძლებელი იყო ასეთი წარწერანი ქვებზე, მაგრამ მუსულმანთ გამოიღეს და სადმე გადააგდეს, როგორც არა ერთგან და ორგან შეგვინიშნავს.

ფანჯრები ეკლესიას თითო აქვს. დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდამ, მოგრძო და ვიწრო, როგორც საზოგადოდ სჩვევია ძველ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებს. კარები ორი აქვს დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, კარებები ფართოებია, დიდები, და ზევიდან ნახევრად ჩამონგრეულები.

გუმბათი, რომელიც საუცხოვოდ შენახულა, მეტად მაღალია და კონუსის მინაგვარი. მისი გუმბათი დიდს მანძილზედა სჩანს და ამაყად გადმოსცქერის თვის გატიალებულს არემარეს. გუმბათის ქვედა ნაწილი კუთხიანია, შიგ ჩატანებული აქვს გრძელი სარკმელები, რომლით ზევიდამაც ქვაში გამოჭრილი ჯვრებია ჩატანებულია. ეკლესია ზევიდან გადახურულია თლილის ქვით და იმდენად კარგად არის შენახული, რომ ერთი წვეთი წყალი არ ჩამოდის შიგ. ზედ სახურავზედ მრავლად ამოსულა სხვა და სხვა მცენარეები და ბუჩქები, ასკილი, მაყვალი და სხვა.

ეკლესიის რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დასავლეთის მხარეს აშენებული ყოფილა სამრეკლო, რომელიც საძირკვლამდის მთლად დანგრეულა და ტყეს დაუცია. ტყესვე დაუცია სხვა, მრავალი შენობები, სახლები და სხვა რომელთა აღნუსხვა და გამოკვლევა ძნელია. აქა-იქ ახლო-მახლოს ტყესა და მინდორში შენახულან რიყის ქვისაგან ნაშენები მომცრო ეკლესიანი, იმავე ტიპისა და ზომისა, რომლებიც ხშირია ქართლ-კახეთის სოფლებში. ზოგი მათგანი კარგად შენახულა და თაღებიც არ ჩამონგრევიათ. რიყის ქვისაგან ნაშენებ ეკლესიებსა და სახლებს გარდა ხშირად შეხვდებით თვით უღრან ტყეშიაც კი წმინდა წითელ აგურის ნაშენებთაც დარღვეულთა და გატიალებულთ.

თვით ტაძარი კი კარგად არის შენახული, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მისი შეკეთება და განახლება სრულიად ადვილია და არა საძნელო. ამბობენ, მთავარ-მართებელ ციციშვილის დროს, როცა მოხდა საინგილოს შემოერთება რუსეთთან, თავადი ორბელიანი ჯარებით იდგა ამ ეკლესიის ახლო და მღვდელი ჯარისა აქ ასრულებდა მღვდელ-მსახურებასაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ ჯარის მღვდელს გვარად გრიგოლევს, ალიაბათელმა ინგილოებმა აჩვენეს მღვდლის შესამოსი და საეკლესიო წიგნები, რითაც უნდა ეთქვათ, რომ ისინიც ძველად ქრისტიანები ყოფილან. ამავე სოფელ ალიაბათიდან თურმე ჩუმად მოდიოდნენ სალოცავად და სანთელსაც ანთებდნენ და საკმელსაც ჰყრიდნენ ხოლმე მოხუცი დედაკაცები, მაგრამ ამ ბოლო დროს ესეც მოსპეს, რადგანაც ნუხის მაზრიდან მოსული ფანატიკოსი მოლლები ყოველივე ნასახსა და ნიშან-წყალსა სპობენ ქრისტიანობისას.

ტაძრის მაშენებლად ისტორია სთვლის კახეთის განათლებულ მეფეს ლეონს, რომელიც მეფობდა 1520—1574 წლამდის. ამავე აზრისანი არიან ყველა მკვლევარნი. თუმცა ეკლესიაში არსად არა ვპოვებთ წარწერას, რომელიც აღმშენებლის ვინაობას მოგვითხრობდეს და მხოლოდ ტაძრის ზარზედ, რომელიც მიწაში იპოვნეს ალიაბათელმა ინგილოებმა შენახულა მხედრულის ასოებით წარწერა, საიდანაცა სჩანს, რომ ზარი შეუწირავს ბაზარში მყოფ ღვთის-მშობლის ეკლესიისათვის კახეთის მეფე ლეონს. ზარი ეხლა ტფილისში ინახება კავკასიის მუზეუმში.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

[1]) იხ. ბაქრაძე „Кавказъ въ древ. памят.

[2], იხ. გაზ. „ივერია“ 1895 წლისა № 211.

უცხოეთი

საფრანგეთი. უკანასკნელ დღეებში პარიზის პოლიტიკურ წრეებში ხმები დადის „სამთა კავშირის“ შეცვლის თაობაზე. როგორც ვიცით, ეს კავშირი აერთებს გერმანიას, ავსტრია-ჰუნგრეთსა და იტალიას. „მატენის“ წარმომადგენელს ამის გამო უსაუბრნია იტალიის ელჩ ტიტონისთან. ტიტონის უთქვამს: ხმები, თითქოს ხელშეკრულება შეიცვლება და კავშირს მეტი აგრესიული ხასიათი მიეცემა საფრანგეთის წინააღმდეგ—ტყუილია. „სამთა კავშირი“ შემდეგაც შეინარჩუნებს თავის დამცველ და მშვიდობიან ხასიათს“. ბერლინის გაზეთები ამის გამო სწერენ, 1912 წლის 7 დეკემბერს „სამთა კავშირის“ სახელმწიფოებმა ოფიციალურად განაცხადეს, კავშირი სრულიად უცვლელად განახლდებაო.

ინგლისი. ლონდონში ქ-ხმა მის ბებმა ინგლისის იურიდიულ საზოგადოებას სთხოვა საზოგადოების წევრად ჩაერიცხათ. საზოგადოების გამგეობამ უარი უთხრა. მის ბებმა ინგლისის სასამართლოს მიმართა, მაგრამ სასამართლომაც უარი უთხრა. ეხლა მის ბებს ინგლისის უმაღლეს სასამართლოსთვის მიუმართავს. სასამართლოში მის ინტერესებს იცავს ცნობილი კონსერვატიული პოლიტიკური მოღვაწე ლორდ რობერტ სესილი. მან დაამტკიცა, რომ არც ინგლისის კანონმდებლობაში და არც ჩვეულებრივ კანონებში არ არის ისეთი რამ, რომელიც ნებას არ აძლევს გაუთხოვარ ქალს ნაფიც ვექილობისას. ლორდ სესილმა ფრიად საგულისხმო ცნობები ჩამოთვალა იმის შესახებ, თუ რა თანამდებობის შესრულების ნება აქვს ქალს. როგორც აღმოჩნდა ქალს უფლება აქვს ინგლისში მიენიჭოს მეფის ადგილი, რეგენტისა (დროებით მმართველი სახელმწიფოსი), სახელმწიფო ბეჭედის შემნახველისა (მაგ. ელეონორა, ჰენრიხ მესამის მეუღლე), „დიდ ჩემბერლენისა“ (სასახლის მინისტრი კაპინეთში უპორტფელოდ), მარშალისა, შერიფისა, ეკლესიის მნათისა და სხვა. მხოლოდ ეგოისტი ნაფიცი მსაჯულები კი მათ თავის წრეში არ უშვებენო.

რუსეთი

სამინისტრო და ჰომეოპატია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჰომეოპატიო აფთიაქების პროექტი შეიმუშავა პროექტის თანახმად მოსკოვში დაარსდება საჰომეპატიო ექვსი აფთიაქი, ვარშავასა და სხვა დიდ ქალაქებში—სამ-სამი; ისეთ ქალაქებში საცა მცხოვრებთა რიცხვი ასიათასზე ნაკლები არ არის, ორ-ორი აფთიაქი დაარსდება.

ორასი ათასი მანეთის გაფლანგვა.

პეტერბურგში პირველ დეკემბერს კრება მოხდა ვასილიევის კუნძულის წვრილი კრედიტის საზოგადოებისა. აღმოაჩინეს საზოგადოების ფულის გაფლანგვა. გაუფლანგავთ 200.000 მანეთი. საზოგადოების თავმჯდომარე მიიმალა.

ქალთა მიტინგი.

პირველ დეკემბერს პეტერბურგში ქალთა მიტინგი მოხდა. სათათბიროს წევრებმა ნოვიკოვმა და სტეფანოვმა მოხსენება წაიკითხეს საქარხნო ინსპექციაში ქალთა მონაწილეობის თაობაზე.

დეპეშები

(კავშმათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

7 დეკემბერი.

უცხოეთი.

ლონდონი. სუფრაჟისტმა ქალებმა გოლოვეის ციხის აფეთქება სცადეს. ამ ციხეში სხედან დაპატიმრებული სუფრაჟისტები. ციხის შენობა ძალიან არ დაზიანებულა.

სტამბოლი. ფინანსთა მინისტრი საფინანსო საკითხების გამოსარკვევად პარიზსა და ბერლინში მიემგზავრება.

სომხების პატრიარქმა ოსმალეთის მთავრობას აცნობა: არჩევნების თაობაზე მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია, რადგანაც ოსმალეთის მთავრობა ნებას არ აძლევს სომეხთა კურიებს სომეხი დეპუტატები აირჩიონო.

ტოკიო. ჩინეთ-იაპონიის სინდიკატის თავმჯდომარედ, იუნშიკაის რჩევით, ვაჭრობის მინისტრად ნამყოფი იანშიო დაინიშნა.

ბუქარესტი. სენატი. მაიორესკუმ სთქვა: ეროვნულ მიზანთა მისაღწევად მთავრობამ ჯარის საჭიროებისათვის 270 მილიონი იშოვნაო. მინისტრ-პრეზიდენტს ბრატიანუმ სიტყვა გააწყვეტია. „მილიონების შოვნა დ ჯარის შემოსევა სხვა და სხვა ქმეაო“. მაიორესკუმ განაგრძო: სერბია-ბულგარეთის ხელშეკრულების არსებობა. ვიცოდით, მაგრამ ჩვენი პოლიტიკა მშვიდობის მოყვარე იყო; ჩვენ გვსურდა ბალკანეთის კრიზისის დროს მომრიგებელნი და ხელმძღვანელნი ვყოფილიყავით. ჩვენმა პატარა ქვეყანამ გაცილებით მეტი გააკეთა, ვიცრე რომელიმე დიდმა სახელმწიფომ. ილაპარაკა კიდევ დემოკრატთა ბელადმა მინისტრ ტაკიონესკუმ. იგიც მთავრობის პოლიტიკას ამართლებდა.

ლონდონი. 10 თებერვალს თვითონ მეფე გაჰხსნის პარლამენტის ახალ სესიას.

სტამბოლი. გაძლიერებული სამხედრო წესებია. პოლიციას აცნობეს, რომ ოსმალოელ ოფიცერთა შორის, რომელნიც საბერძნეთსა ჰყავს ტყვეებად, ეხლანდელ მთავრობის მოწინააღმდეგენი არიანო. მოწინააღმდეგეთ ჰსურთ სახელმწი-ფოებრივი არეულობა მოახდინონ. ერთმა შეთქმულთაგანმა გასცა იგინი. პოლიციას აცნობეს სტამბოლში 6 კაცი იყო. შეკრებილი, რომელნიც სამხედრო გუბერნატორის ჯელამბეის გავლას ელოდნენ. ამ ადგილს პოლიციამ წინ და წინვე ჟანდარმები შემოარტყა, გაუშვა ცარიელი ავტომობილი; ავტომობილს შეთქმულნი თავს დაესხნენ, პოლიციამ ისინი შეიპყრო. ხმები გავრცელდა, დაპატიმრებულნი იმ ღამესვე გარდაიცვალნენო.

სტამბოლი. უფულობის გამო მთავრობა დიდ გაჭირვებას განიცდის. საფრანგეთში აღებული სესხი მხოლოდ ჯამაგირების დარიგებას მოჰხმარდა.

სტრასბურგი. სამხედრო სასამართლომ ლეიტენანტ ფორსტერნს იარაღის უკანონოდ ხმარებისათვის დეიტვეილერში 43 დღით ციხე მიუსაჯა. ფორსტერნი ცნობილი გმირია ცააერნის ინციდენტისა.

ბუქარესტი. სენატმა ერთხმად მიიღო ბულგარეთის მიერ დათმობილ მიწების ანექსიის კანონპროექტი.

ვენა. დეპუტატთა პალატა. დეპუტატებმა შეკითხვით მიჰმართეს მინისტრ-პრეზიდენტს დეპუტატ სტაპინსკის თაობაზე. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა: პოლონელთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა შუამდგომლობით მე სადისპოზიციო თანხიდან მივეცი დეპუტატ სტაპინსკის ფული. დეპ. სტაპინსკის გაზეთი უნდა მოესყიდნა, რომელიც პოლონელთა კლუბს ოპოზიციაში უდგა. სტაპინსკის ხელმძღვანელობით ამ გაზეთს უნდა განემტკიცებინა პოლონელ კლუბის უმრავლესობის მეგობრული ტრადიციები მთავრობასთან. სტაპინსკისთან მინისტრ-პრეზიდენტს არ ულაპარაკნია, მან არ იცოდა, გაგებული ჰქონოდა თუ არა სტაპინსკის, რომ თანხა გაღებული იყო სადისპოზიციო ფონდიდან. მინისტრის აზრით, სადისპოზიციო ფონდი პოლიტიკურ საქმეებს უნდა მოჰხმარდეს. პალატის ხმის უმრავლესობით, მინისტრ-პრეზიდენტის განმარტების განხილვა შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

პარიზი. ბელგრანის ქუჩაზე ჩამოიქცა სახლი, 15 მუშა იმსხვერპლა.

ბერლინი. 7 დეკემბერს ბერლინიდან წავიდნენ საფრანგეთისა და ოსმალეთის დელეგატები, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ მცირე აზიის რკინის გზათა საკითხების მოსაწესრიგებლად. ამბობენ, მუშაობა მომავალ დღესასწაულების გამო შეჩერდაო. სააგენტოს კორესპოდენტის ცნობით კი დელეგატთა მუშაობა სადავო საკითხების გამო შეფერხდაო. მოლაპარაკება 1914 წლის დამდეგს განახლდება.

რომი. საპასუხო ადრესის განხილვის დროს მთავრობამ და პალატამ სოციალისტთა შესწორება მოიწონა ამ შესწორებით მეფეს აგონებენ არსებულ უმუშევრობას და მოითხოვენ სათანადო ღონისძიებანი იყოს მიღებული მის მოსაგვარებლად. პალატამ საპასუხო ადრესის საბოლოო რედაქცია მიიღო.

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ მიიღო სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

რუსეთი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შეჩერდა 7 დეკემბერს 1914 წლის 14 იანვრისათვის.

ხარკოვი. სამხრეთ-რუსეთის მთის მრეწველთა კრების თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრი ფონ-დიტმარი. კრება დაიხურა.

იალტა. მინისტრი მაკლაკოვი მოვიდა.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ნებს. ჰტირიან საუკუნოები... მამულის დამცველებად მიდიან დავითი... თამარ... ჰხარობს მოხუცი... მაგრამ ეჰა! ჟამს თავის გააქვს და უგუნური თავ-გაპოდება საშინელს ფინალს დაანახვებს მუხლზე დამხობილს მოხუცს, რომელიც ლოცვა-ვედრებით შესთხოვს განგებას მამულის დახსნას.

ამის დანახვაზე თმა ყალყს უდგება მოხუცს. მტვრად ქცეულ სამშობლოს ფერფლეში იგი დაიარება და დასტირის სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. „აღარ აღსდგებით? ჩასძახის თვითეულს მათგანს და როდესაც ამათგანაც ყრუ, საშინელი კვნესით შემოესმა „აღარ აღვსდგებით“, [8]) შეშლილსავით წამოიჭრება და ახალის სასოწარკვეთილებით წამოიძახებს: აღარ მწამს ღმერთი [9])

ეს იყო სატანის სრული გამარჯვება, როდესაც მოხუცს სასოების მახვილი ზედ თავზე გადაემსხვრა. ამიერიდან იგი წყევლა-გრგვინვით სძრავდა მთელს ქვეყნიერებას და ხელსავით დარბოდა მთა-ღრეში, ვიდრე არ მოიქანცება და ცრემლთა ფრქვევით არ აგლოვებს თვით ზეცასა თვისთან ერთად.

შეუძლებელია მთელი სცენების გადმოცემა. თვითეული მათგანი ობოლი მარგალიტია, საგოდებელი ფსალმუნის ის საგალობელი მუხლები, რომლებსაც ტყვედ ქმნილი ებრაელნი ბაბილონის მდინარის ნაპირებზე გალობდნენ; განსაკუთრებით საგულისხმოა გიორგი მთაწმიდელის გამოცხადება, რომელიც განჰკურნავს მოხუცს და თვალწინ გადაუშლის, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ეროვნული იდეალი. ცხრა ნეტარების სახით იგი მთელს დოქტრინას იძლევა ეროვნული იდეალისას, რომლის მთლად მოყვანა, სამწუხაროდ, ადგილის უქონლობის გამოისად შეუძლებელია. ხოლო მოხუცის შეკითხვაზე, ვითარ აღსდგება ჩვენი ერიო, წმიდანი უპასუხებს, აღსდგება, მაგრამ არა მახვილითა, არამედ სულიწმიდით. „სული ძლიერი და გული მტკიცე სიყვარულისა—აჰა მაცხოვრებელი მამულისა და აღმდგენელი მამულისა... ძლიერ და უძლეველ არს ერი და განიბნევიან მტერნი, თუ ეკუთვნის სავსება სულისა ჩვენისა“[9]).

აი, ეროვნული იდეალი: სულის სიძლიერე და მტკიცე სიყვარული! მერე სადაა ყველა ესა? რატომ გახდა იგი მიუწდომელი? და გიორგი მთაწმინდელიც მკაფიოდ გვამხილებს, რომ ჩვენი მტერი დ ჩვენი დამმონებელი არის ჩვენი ცდუნებული და დაავადებული გულიო. რათა ვთხოულობთ ეკლესიას, თუ კი ლოცვისთვის არ გვერჯის გული, რათ ვაყვედრით უცხოელებს, როდესაც ჩვენ თვითონ არა გვაქვს სურვილი ჩვენს შვილებს ვასწავლოთ დედაენა, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ: „რაისთვის ჰყვედრიდეს ნათესავსა სხვასა, არა ასწავლი შვილსა ჩემსა ენასა დედისასა და თვით კი უბნებდეს სახლსა შინა თვისსა ენასა უცხოსა? რაისთვის სწყევლიდეს მოძულესა სიძულისათვის და თვით კი არა ჰქონდეს სიყვარული და ერთგულება მამულისა“[10])?

კმარა! აქ კითხვა ახდილია, რომელზედაც ქართველმა, თუ კიდევ ქართველად ჰგრძნობს თავს, გადაჭრილი პასუხი უნდა მისცეს!..

ზემოდ გაკვრით შევნიშნე, თუ ყაზბეგის ანზორას სასოწარკვეთილებით უნდა მოეღოს ბოლო, სამაგიეროდ „გლოვის ზარის“ მოხუცი, ეს სიმბოლო დასრულებელი ტანჯვისა, გულში ატარებს იმ აღორძინების პროცესს, რომელშიც უნდა გაიაროს გარეგნულად დამცირებულმა ერმა, რომელსაც დიდებული წარსული ჰქონია. ახლა დავუბრუნდები ამ დებულების განმარტებას.

სასოწარკვეთილებით მოცული მოხუცი გიორგი მთაწმიდელთან იპოვის შვებას და ინსტიქტურად შთასახულ **ერის აღორძინების** იდეალს კვლავ ფრთებს შეასხმევინებს. მისი „უნუგეშობის ბორკილი“ უკვე იმსხვრევა, რადგანაც წმიდანისაგან უკვე უწყის, რომ დადგება განთიადიც! მართალია, აწმყო საშინელებაა, დიდი განსაცდელი გადამხდა ერს, დიდია გაწირული მსხვერპლი, მაგრამ ყველა ეს უნაყოფოდ არ ჩაივლის. სწამს, რომ „ამოვა მზე“ და დაემყარება „**თავისუფლება და სიმართლე უმზაკველი**“. და ეს იმედი გვირგვინდება თვალწარმტაცი სანახაობით: ცაში გამოჩნდება ორი ყრმა: ქალ-ვაჟი: „ვაჟს ხელთ ეპყრა ლამპარი აღგზნებული და ქალს ემოსა გვირგვინი ყვავილისა და ნაყოფისა“, რომელიც მოასწავებდა, რომ „იქ არის შობა—მომავალისა ნათესაულისა ჩვენის—შრომა, სინათლე, მეცნიერება და სიყვარული მიწისა მამულისა“ [11]).

როგორც ჰხედავთ, მეოცე საუკუნის უღელტეხილზე ერთად ერთი მოზარე ბ-ნი სამ. ფირცხალავაცაა, რომელმაც მთელი ზეშთაგონება, მთელი თვისი შემოქმედებითი ნიჭი ღრმად ამოავლო ერის წყლულში და პათეტიურ ეფექტების აღხატვით საძირკველი ჩაუყარა ჩვენს უახლოეს პოეზიას, რომელზედაც უნდა გაიფურჩქნოს ჩვენი აწმყო და მომავალი ლიტერატურა. დღემდე ჩვენს ახალგაზდა მწერლების ნაწარმოები უცხო მწერალთა ნაღვაწსა ჰგავს, უცხოდან გადმოთარგმნილს, მხოლოდ „გლოვის ზარმა“ გვაგრძნობინა ჩვენი ტკივილები, გვაგრძნობინა რაღაც, გამოურკვეველი მშობლიური კვნესა. მისი კალამი წმიდა ევთიმე დ გიორგი მთაწმიდელების ფაქიზი კალამია, მშობლიური სათუთი ენა, რომელიც ჰარმონიული მუსიკობით ღრმად სწვდება ჩვენს გულს. და ამ ხმამ, ამ ნაზ მუსიკის მეტყველებამ უნდა გააერთიანოს ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც სტიქიურად ჰღელავს და განახლებისაკენ მიიწევს. არაა მეცნიერება თუ ფილოსოფიური ისეთი დოქტრინა, რომელიც გვიქადაგებდეს ეროვნულ იდეალთა განადგურებას. ამისი პრეტენზია არც ერთს და არც მეორეს არა აქვს და არც ექნება არასოდეს. ის, რაც მათ მიერ დამტკიცებული და დასაბუთებული იყო გუშინ, დღესვე ინგრევა მათი წერაქვით. თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიერ თვითეული საკითხი განახლებასა და ახალს განმარტებას თხოულობს. ნუ გვგონია, რომ კალმის მოსმით შესაძლებელი იყოს საუკუნეთა თავ-სამტვრევ კითხვების გადაჭრა. ჩვენ ჯერ-ჯერობით არა ვიცით-რა, თუ ვიცით, ისიც ცოტა. რა არის მატერია? რა არის ატომი? რა არის სუბსტანცია, ანუ მონადა? ჩვენ მხოლოდ უბრალო წარმოდგენა გვაქვს, როგორც ეს განგვიმარტეს დემოკრიტემ, სპინოზამ, ლეიბნიცმა, ბერკლეიმ თუ თანამედროვე მატერიალისტთა და იდეალისტთა სკოლამ. ნამდვილად კი მათ შემეცნებამდე არ მივსულვართ. აღნიშნული ცნებანი მხოლოდ უმცირესი რაღაცაა, მაგრამ რამე კი არა. ჩვენ არ გვესმის მათი არსება. ეს ტლანქი აღნიშნული სიტყვებია. ზღვის ტალღათა გრიალი ზვირთების ჩურჩულს გვიხატავს, მაგრამ ეს არა კმარა, რომ ხმაურობის სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, ვინაიდან დიდ ტალღებს იქით არიან უჩინარი ზვირთები, რომელთა მოძრაობას ვერც დავინახავთ და ვერც გავიგებთ,—როგორც ეს მშვენივრად დაახასიათა ერთ დროს ლეიბნიცმა. რაც ვიცით, სულ შემთხვევითი უბრალო სიმბოლოებია, თვით შინაგანი შემდგომილება ამა თუ იმ ნივთისა დახურულია, უფრო ღრმა და გამოურკვეველია, ვიდრე გვგონია. ჩვენ კი მიეჩვიეთ და ყოველს გამოურკვეველს სხვა-და-სხვა სახელები დავარქვით, უკეთ სიტყვა, რის გამოც გიოტეს მეფისტოფელს სადღესასწაულოდ ვახარებთ და დაცინვით ვათქმევინებთ, ეს ხომ „სიტყვაა, ცარიელი სიტყვა“! მაშ რაღა არის სინამდვილე, ნუ თუ დიუბუა რაიმონდსავით გულზე ხელი უნდა დავიკრიბოთ და ვსთქვათ: „ignorabimus“! ნუ თუ ყველაფერი მხოლოდ წარმოდგენაა, უკეთ პლატონის იდეა, გამომკრთალი აჩრდილი უცნობი არსებულისა? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არის სიცოცხლე და ამასთანავე ჰსუფევს ბუნების გვირგვინი ადამიანი, რომელსაცა აქვს გრძნობა, გონება, ვნებანი, ხასიათი, ნების-ყოფა; ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ჯერ-ჯერობით მეცნიერებას აღმოუჩენია მასში. ჩვენ გვავიწყდება ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ბუნებრივი კანონი უაღრესია, ვიდრე მშრალი თეორია და განყენებული ფორმულები. მას შემდეგ, რაც გამორკვეულ იქმნა ენერგიის პრინციპი და ის კანონი, რომელსაც ბუნების ყოველგვარი პროცესი ექვემდებარება, მას შემდეგ, რაც რომ სახეთა წარმოშობა და განვითარების მოძღვრება საბიოლოგიო მეცნიერების დარგს ჩაეწერა, ორგანიული ცხოვრების განსაზღვრა და გამორკვევამ სულ სხვა გვარი სახე მიიღო. ერთია ინდივიდი. იგი შეიცავს მთელს მსოფლიოს! ერიც ერთეული სხეულია, რომლის ჰსიხიური და ფიზიკური ცხოვრება საუკუნოებით იზრდება და იფურჩქნება თავის წარმომშობ აკვნის გულში. ერთურთთან ჰარმონიული შეზავებით და ნელნელი ზრდით მუშავდება ერის განსაკუთრებული ზნე-ჩვეულება, ენა, ხასიათი, ვნებანი, ნებისყოფა, რელიგია, თვით გემოვნებაც კი მშვენიერების შესამცნებლად. დაარღვიეთ მათი ჰარმონიული ხლართი და დისსონანსიც იჩენს თავსა. ჩვენი ბედისა და არსებობის ტრაგედიაც ამ ხლართის დარღვევაა, რასაც მოჰყვა ჩვენი უსასტიკესი ავადმყოფობა—**დეგენერაცია!** ჩვენი ცხოვრების ჰიგიენა თითქოს მკურნალად ნიცშეს გვიწვევს, რომელიც ამბობდა: „მე კი ნუ მომდევ, მიჰყე შენს თავს, მხოლოდ შენს თავსა! თანდათან გახდი იმათ, რაც რომ უნდა იყვე, მასწავლებელი და შემომქმედი შენი თავისა!“ ამ მოძღვრების მამხილებელს თითქოს დოქტრინის სახით ვხედავთ „გლოვის ზარის“ ყოველ სტრიქონში. თითქოს ჩვენი ავტორი ნიცშესთან ერთად მოგვიწოდებს სიცოცხლე შევიყვაროთ. თუ გვსურს სიცოცხლე, არა თუ უნდა დავამტკიცოთ იგი, არამედ კიდევაც აღვამაღლოთ. მისი აღმაღლება კი შეიძლება ჩვენის განწმენდით. გზა განწმენდისა კი ერთია: ვისწავლოთ სიყვარული და პატივისცემა იმისი, რომელმაც შეიტკბო და გაჰფურჩქნა ჩვენი სულიერი და ფიზიკური ცხოვრება. იმედი, სულიერი განჰეტაკება, სიყვარული და მეცნიერება, აი ის ეროვნული იდეალი, რომელიც ციაგის ნარნარებით გამოჰკრთის ამ საგოდებელი ფსალმუნიდან, როგორც ახალი იერუსალიმის სამრეკლოს ჩაუქრობელი ჩირაღდანი!...

ბრიუსელი. **დ. კასრაძე.**

რედაქტორი ნ. ქურდლელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

---

[8]) ibid გვ. 317.

[9]) ibid, გვ. 317.

[9]) ilid გვ. 317.

[10]) ibid გვ. 325.

[11]) ibid გვ. 327.

ვაჭრობა-მრეწველობის უწყების

პეტერბურგის პირველი საპოლიტეხნიკო კურსები

აცხადებს, რომ საგაზაფხულო ნახევარ წლისთვის 1914 წ. ორივე სქესის მოსწავლენი მიიღებიან შემდეგ განყოფილებებზე:

საინჟინერო (გზათა), სახუროთმოძღვრო და სამიწის-მზომლოზე. სწავლა 15 იანვრიდან დაიწყება. ამ განყოფილებათა კურს-დამთავრებულნი, რიცხვით 450 კაცი, უკვე ადგილებზე არიან და წარმატებით მსახურობენ სხვადა-სხვა თანამდებობაზე ტეხნიკებისა, ჰიდროტეხნიკებისა, ტოპოგრაფისა, მიწის-მზომლისა, მთის თანაშემწეებისა და სხვა. გამოჩენილი განყოფილების. სამმართველო, სამიწის-მზომლო განყოფილების კურს-დასრულებულთ ანწესებს მიწის-მზომლის თანაშემწეებად, მიწის მომწყობ კომისიებში, წელიწადში 600 მან: ჯამაგირით, ზედ-მეტ სამუშაოს სასყიდლის გარდა. კურსებთანვე არსებობს

საავტომობილო შოფერების სკოლა.

კურსებზე მიღების პირობები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ, ხუთ ორ-კაპეკიანი მარკის გამოგზავნით.

С. Петербургъ, Б. Ружейная № 6, тел. 99—90.

Метцль. 154135. 1627

პირველი ტექნიკუმი.

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
т/д. БР СЕСІЕВЫ и К°
ВЪ ТИФЛИСЪ

1453

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილორიანისა

(ტფილისი. მიხეილის პროსპექტი, სახლი N 24—4. ტელეფ. 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comton-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად, თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეებთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 218 მსმენელი იყო. ამათგან 42 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. 1628

Верійская паровая баня

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ

ზ. ი. აბრამაშვილის

აბანოში

—✦ ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში ✦—

ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),

ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.

გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.

განათებულია ელექტრონით.

ღია არის დილის 6 ს. დან ღამის 12 ს. დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი და ცხელი დუში** სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

მარმარილო-მოზაიკის სახელოსნო

ბ. პ. ვილლი-სა.

მიხეილის პროსპ. № 63. ტელ. 620. მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ.

ყოველგვარ შეკვეთას ვღებულობთ, მარმარილოს, ქვისა და მოზაიკის სამუშაოსას; აგრეთვე გვაქვს დიდ-ძალი დამზადებული ძეგლები ნაირ-ნაირ მასალისა. 1614.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

ახალ-ახალი

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

ხიზილალა.

კოლოფით ქიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და

კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712. 1560

ცინკოგრაფია

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.

1009



1523

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:

„SALO—პიჩილინ“.

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.** **აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსდოდებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.

Метцль 27328. 1038

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაგახარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერგებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღნიანი: 10 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტიხიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია სახელოსნოში

მუხრანის ქ. № 2.



მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა. 855

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი

საბუღალტრო კურსები

(საღამოსი),

რ. ზ. რომანოვისა,

(1908 წ. დაარსებული)

ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან, მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.

კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.

ამზადებენ **ორივე სქესის** პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ **სპეციალურ საკომერციო ცოდნას** საბუღალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან. პრაქტიკული მუშაობა ბუღალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, **სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით,** მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან (**სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.**), და სავალდებულოა აწარმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადოდ სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა. სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუღალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერიკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) **ანგარიში:** საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. გამს. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) **სავაჭრო უფლება.** 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. და მათემ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) **პოლიტ.-ეკონომ.**, 9) **სტენოგრაფია,** 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა, 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს **ყოველ დღე** კურსების კანცელ. დილის 10—3 ს. დე და საღამოს 5—8 ს. დე. კურსების წესდება და პროგრამა **უფასოდ** იგზავნება. 1615.

მარმარილო-მოზაიკისა ხელოვნება-ქანდაკების

ძეგლების

დამზადებელი სახელოსნო

ნ. რიცცისა,

ტფილისი. ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 158, ტელეფ. 16—38.

ვიკისრებთ ზემო-აღნიშნულ სამუშაოს და ვამზადებთ **მარმარილოსა** და **ბრინჯაოს ფიგურებს,** ბიუსტებს, ბარელიეფებს, რასაც უსაწინდროდ ვასრულებთ. **გვაქვს დიდ-ძალი რჩეული** გამზადებული ძეგლები: მარმარილოსი, ლამბრადორისა და სხვა ქვისა. 1613

ყოველწლიურად მიღებულ ჩვეულებისამებრ

პ. ს. დოროღუნოვის

მაღაზიებში

1 უმთავრესი—სოლოლაკის ქუჩაზე, სახლი გურგენოვისა, ტელეფ. № 583,

2 იაროსლავისა—მიხეილის ქუჩა, გერმანელთა ეკლესიის გასწვრივ, ტელეფ. № 838.

დეკემბრის 9-დან 25-დე

ე. ი. 14 დღის განმავლობაში 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20,21, 23 და 24 დეკემბერს

ზემოხსენებულ დღეებში დანიშნულია

საშობაო ბაზრობა

უდიდესი იაფი ვაჭრობა.

საშობაო საჩუქრებისათვის, ყველა სპეციალურ განყოფილებიდან გირჩევთ ათასგვარ ნაირ-ნაირ საქონელს, მეტის-მეტად იაფ ფასებში.

აგრეთვე ძალიან იაფად გაიყიდება ნარჩომი საქონელი, განსაკუთრებით ბევრი საქონელია ნარჩომი: აბრეშუმეულისა, შალეულისა, მაუდეულისა, ბამბაზია ფერადი და სხვა ბამბის ქსოვილები, ტილო და სხვ. სპეციალური საქონელი ყოველგვარ თეთრეულისათვის.

საგანგებო განყოფილება

ავეჯეულობის საქონლისა:

ხალიჩები, ფარდები, შტორები, გარდინები ტიულისა, იატაკზე საფენი, ფუნჯები და სხვა, ამ განყოფილების საქონელი გადატანილია მიხეილის ქუჩაზე, იაროსლავის მაღაზიასთან მოწყობილ ცალკე მაღაზიაში.

პ. დოროღუნოვი.

1629

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.